ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 70/L

„22" „მაისი" 2013 წ.

თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1ერთის მხრივ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ანა ჩაჩხუნაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „22" (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის ზაზა იორამაშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, საკუთარი სახსრების ფარგლებში, შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის (ფილიალის) საჭიროებისათვის ავტომობილის ევაკუატორით გადაყვანის მომსახურების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება CPV-კოდი -50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება დეტალური CPV-კოდი -50118110-ავტომობილების ბუქსირით გადაყვანის მომსახურება.) შესყიდვაზე და „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 60 (სამოცი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტია თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის სარგებლობაში არსებული მიკროავტობუსის (ფორდ ტრანზიტი, LDL130) ევაკუატორით გადაყვანის მომსახურება (ქ. თბილისი ქსნის ქუჩიდან კოსტავას ქ.#68-ში) .

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 60 (სამოცი) ლარი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, მიმდინარე წლის 22 მაისის ჩათვლით, მისამართზე: თბილისი ქსნის ქუჩიდან კოსტავას ქ.68-ში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

5.2. მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

6.3. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთეჯერადად, მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) და ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6.4. „შემსყიდველი" უზრუნველყოფს „მიმწოდებლის" დაფინანსებას ხელშეკრულების 5.2. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.2. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის“ მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ყველა ხარჯს დაკავშირებულს ხელშეკრულების საგანთან იხდის „მიმწოდებელი“.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ სრული და დროული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ფონდის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაზღვრული პირის ფუნქციებია:

15.2.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;

15.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და ,,მიღება-ჩაბარების აქტის'' გაფორმება.

GEORGIA 406069409 LTD 22 ვაჟ. 22 საქართველო